ჰენრი კუპრაშვილი – 70
(დაბადებული 1946 წლის 13 სექტემბერს)

ჟურნალის რედაქცია ულოცავს ბატონ ჰენრი კუპრაშვილს 70 წლის სახელოვან იუბილეს და უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებს პირად ცხოვრებაში და პროფესიულ საქმიანობაში ქვეყნის საკეთილდღეოდ

„გეპეიში" 48 წლიანი სამსახურეობრივი გზა 1968 წლიდან დღემდე: პრეპარატორი, ლაბორანტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სრული პროფესორი (100-მდე სამეცნიერო შრომისა და 2 გამოგონების ავტორი. პრესაში გამოქვეყნებული აქვს 400-ზე მეტი პუბლიცისტური სტატია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთებული აქვს 50-მდე მოხსენება). როგორც ლექტორი გამორჩეულია იმით, რომ 2011 წლიდან ყველა ლექცია მომზადებული აქვს ოწერ ოინტ–ის პროგრამაში ინტერნეტიდან მუდმივად განახლებადი უახელესი ინფორმაციითა და გამდიდრებული ვიზუალური მასალებით (მათ შორის, საგანებში: 1. ეროვნული უშიშროების სისტემური ინფორმაციული უზრუნველყოფა; 2. ინფორმაციული ომი; 3. ევროპის პოლიტიკური მიმდინარეობები; 4. ევროპის პოლიტიკური მმართველობის სისტემა; 5. პოლიტოლოგია). **მის ასაკში, ბევრი არ იქნება ლექტორი (შეიძლება ერთადერთიცაა), ვინაც მოკლე დროში უაღრესად თავდაუზოგავი შრომის შედეგად შეძლო 80-მდე მაღალკვალიფიციური ლექციის მომზადება ე.წ. საპრეზენტაციო პროგრამაში.**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; ისტორიკოსი, ჟურნალისტი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი;
2. სპორტსმენი (მოცურავე, მარათონელი მორბენალი, ბიატლისტი, ტრიატლისტი, მსოფლიო რეკორდსმენი, მსოფლიო ჩემპიონი) – შეჯიბრებებში მონაწილეობს სტუ-ს სახელით;
3. გადამდგარი პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი;
4. ვიცე-პოლკოვნიკი;
5. ომის ვეტერანი;
6. ჯილდოები:

- ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი;
- „მხედრული მამაცობისათვის" საქართველოს სახელმწიფო მედალი;
- „სამგალითო სამსახურისთვის" უკრაინის შინაგანი ჯარების პირველი ხარისხის მედალი;

- ბაირონის საერთაშორისო საზოგადოების ოქროს მედალი;
- ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის თავისუფლების მსოფლიო მედალი;
- წლის ადამიანი - 2002 (გაზეთი "ახალი ეპოქა"), 2006, 2007 (ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტი);

7. დავით აღმაშენებლის ჩოხოსანთა კავშირის „ჩოხოსნები – 1973"–ის თავმჯდომარე;
8. ცურვის ეროვნულ სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი;
9. ტ/კომპანია სი-ენ-ენ–ის (17.02.01, 05.11.02) მიერ „ადამიან დელფინად", ასევე მსოფლიო მასმედიის მიერ „წყლის პრომეთედ", „დარდანელის გმირად", სრუტეთა მბრძანებლად მონათლული.

ჰენრი კუპრაშვილმა, როგორც მასმედიაში აღინიშნა:

- **სათავე დაუდო მსოფლიოში სრუტეთა გადაცურვის ახალ წესს**;
- არის პირველი ქართველი საერთაშორისო მარათონელი მოცურავე;
- შექმნა ქართული ცურვის სკოლა;
- საფუძველი ჩაუყარა ცურვის ეროვნული სახეობების (კოლხური სტილით) შესწავლის საქმეს.
- დაწერა ცურვის ეროვნული სახეობების შემსწავლელი პირველი ქართული სახელმძღვანელო.

- შექმნა სპორტული ტანვარჯიშის კოლხურ–იბერიული კომპლექსი.

ჰენრი კუპრაშვილის, როგორც მოცურავის, ბიატლისტის, ტრიატლისტის და ცურვის მწვრთნელის <u>საერთაშორისო</u> მიღწევები:

მოცურავე:

1. მსოფლიო მასმედიის მიერ მისთვის შერქმეული მეტსახელები: ადამიანი დელფინი (ტ/კომპანია სი-ენ-ენი 17.02.01, 05.11.02), სრუტეთა მბრძანებელი, დარდანელის გმირი, წყლის პრომეთე და სხვ., მიიღო მას შემდეგ, რაც:

- კაცობრიობის ისტორიაში პირველმა, „მხედრული კოლხურით" (ოთხგან ხელფეხშეკრულ მდგომარეობაში ცურვის ქართული სამხედრო-საწვრთნელი სტილი) 2001 წლის 28 იანვარს „ლაგუნა ვერეს" აუზში გაცურა 2 ათასი მეტრი;
- ხოლო 2002 წლის 30 აგვისტოს ასევე „მხედრული კოლხურით" გადაცურა დარდანელის სრუტე ევროპიდან აზიაში - 12 კმ.

2. ჰენრი კუპრაშვილმა 2013 წლის 7 ივლისს მონაწილეობა მიიღო ბოსფორის სრუტის თავისუფალი სტილით საკონტინენტთაშორისო გადაცურვაში, აზიიდან ევროპაში (დრო 01:03:14).

3. ჰენრი კუპრაშვილმა ზამთრის ცურვის (ყინულჭრილში) მე–9 მსოფლიო ჩემპიონატზე (2014 წლის 19–23 მარტი, ფინეთი) კროლით ცურვაში 25 მეტრიან დისტანციაზე მე–12, ხოლო 50 მეტრიან დისტანციაზე მე–8 ადგილი დაიკავა.

ბიატლისტი და ტრიატლისტი (თანამედროვე ხუთჭიდის სახეობები) – გუნდურში კატეგორია Master C:

ბიატლი (სირბილი–ცურვა–სირბილი): **მსოფლიო ჩემპიონატი** (21.09.2015) – **ოქროს მედალი**.

ტრიატლი (4 სერია სროლა– ცურვა–სირბილი): **მსოფლიო ჩემპიონატი** (20.09.2015) – **ოქროს მედალი**.

მარათონელი მორბენალი, ირბინა:

21.0975 კილომეტრი – „თბილისიმარათონი" (2014 წლის 25 ოქტომბერი).

10 კილომეტრი, მესამე ადგილი – „თბილისი-მარათონი" (2015 წლის 25 ოქტომბერი).

12 კილომეტრი – Wings for Life World Run (2014 წლის 4 მაისი).

9 კილომეტრი – Wings for Life World Run (2015 წლის 3 მაისი).

მწვრთნელი:

მან:

• 2004 წელს ლაგუნა ვერეზე შექმნა ქართული ცურვის (კოლხურ-იბერიული სტილი) შემწავლელი მსოფლიოში პირველი ჯგუფი და ცურვა შეასწავლა დემირელი კოლეჯის 11 მოსწავლეს.

• ლაგუნა ვერეზე ქართულ ცურვაში მოამზადა (დიმიტრი დიკთან ერთად) ნინო ბასილაია (11 წლის), ანი სიჭინავა (11), ირაკლი შენგელია (12), თემურ კობახიძე (12), ნასტია გრივაჩი (13), დათო ბარდაველიძე (14) და თიკა ბაკურაძე (15), რომლებმაც 2006 და 2007 წლებში მსოფლიოში პირველებმა „მხედრული კოლხურით" ჯგუფურად გადაცურეს თბილისის ზღვა.

მისმა აღზრდილებმა:

• ჯიმიკო ბროძელმა (11 წ.) „მხედრული კოლხურით" (ცურვის სამხედრო-საწვრთნელი სტილი) გადაცურა თბილისის ზღვა (03.08.2008);

• ნიკა თვაურმა (ორივე თვალით უსინათლო და მარჯვენა ხელის მტევანი ამპუტირებული) მსოფლიო ჩემპიონატზე (თურქეთი, 04.04.2011) ბრასით სტილით ცურვაში მოიპოვა ბრინჯაოს მედალი (SB11 კატეგორია);

• ანა ლომინაძემ (17 წ.) ასევე „მხედრული. კოლხურით" გადაცურა დარდანელის სრუტე (30.08.2012).

სხვა ბიოგრაფიული ცნობები:

1968 წელს ჯარიდან ჩამოსულმა ჰენრი კუპრაშვილმა გასაუბრება გაიარა სპი-ს რექტორთან იოსებ ბუაჩიძესთან და მიღებულ იქნა საინჟინრო გრაფიკის კათედრაზე. სერგო ბურჭულაძესთან ყველაზე დაბალი თანამდებობიდან დაიწყო მისი „გეპეური" ბიოგრაფია - პრეპარატორი, ლაბორანტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სრული პროფესორი - გზა, რომელიც განვლო მან ამ სახელოვან დაწესებულებაში.

„გეპეისთვის" არასდროს უდალატია, კი მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე, მაგრამ

ან ნახევარ შტატზე ან საათობრივ ანაზღაურებაზე მაინც რჩებოდა.

ჰენრი კუპრაშვილი დაიბადა 1946 წლის 13 სექტემბერს. დაამთავრა თბილისის გ. ტაბიძის სახ. თბილისი 51-ე საშ. სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, სპი-ს საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე «საქართველოს გეოპოლიტიკური სტატუსი და პრიორიტეტები საგარეო პოლიტიკაში» და სადოქტორო დისერტაცია თემაზე «საინფორმაციო პოლიტიკა პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში». მიღებული აქვს სერთიფიკატები: ქ. კაიროს უმაღლესი მმართველობის კვალიფიკაციის ამაღლების კურსები; ჯორჯ მარშალის სახელობის უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა შემსწავლელი ცენტრის კოლეჯის უმაღლესი სახელისუფლო კურსი; საქართველოს ეკონომიკური უშიშროების პოლიტიკის ფორმირების შესახებ (უშიშროების მოდელირების სინთეზური გარემო) აშშ-ს ევროპის შტაბისა და თავდაცვის ანალიზის ინსტიტუტის მე-2 სიმპოზიუმი «საქართველო – დიალოგი 2000».

მას სხვადასხვა დროს ეკავა თანამდებობები: საქართველოს სახალხო ფრონტში - საადრიცხვო განყოფილების ხელმძღვანელი; საქართველოს მინისტრთა კაბინეტში - ცხინვალის რეგიონის პრობლემათა სპეციალური სამთავრობო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი; საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატში - მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, სახელმწიფოს მეთაურის დავალებების კონტროლისა და ცენტრალურ მმართველობით ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი; საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში - უშიშროების მიმდინარე მდგომარეობის მონიტორინგის, ანალიზისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორი; სახელისუფლებო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის სააგენტოში - სიტუაციური ცენტრის კოორდინაციის განყოფილების უფროსი და სხვ.

ჰენრი კუპრაშვილს 2003 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით (№ 1299) მიენიჭა პირველი კლასის სახელმწიფო მრჩევლის საკლასო ჩინი.

ჰენრი კუპრაშვილი 1996-2001 წლებში საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენელი იყო დსთ-ს (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის) წევრი სახელმწიფოების ინფორმატიზაციის საკორდინაციო საბჭოში.

იყო კოორდინატორი საქართველოს მხრიდან - საერთაშორისო სემინარის «რეფორმების კოორდინირება საჯარო სექტორში: საქმიანობის გაუმჯობესება და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა». 1997 წლის 9-10 ოქტომბერი. ორგანიზატორები მსოფლიო ბანკი და საქართველოს მთავრობა (*მიღებული აქვს მადლობის წერილი მსოფლიო ბანკის ვაშინგტონის ოფისიდან*).

მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში შეიქმნა სტრატეგიული ანალიზისა და მოდელირების ინფორმაციული უზრუნველყოფის ავტომატიზებული სისტემა «დიდგორი»; პოლიტიკური პროცესების პოლიტომეტრიკული მეთოდით ანალიზის პროგრამა «აისი» და სხვ.